

პოლიტიკა

პარლამენტი, შესაძლოა, უმცირესობის ბარაჟს დარჩეს

იმის მიუხედავად, რომ ჯერაც არ არის ცნობილი, როდის გაიმართება პარლამენტის პირველი სხდომა, ბარიერგადალახული პარტიები და მაჟორიტარი დეპუტატები კულარულ საქმიანობასა და ურთიერთგარიგებებში უკვე აქტიურად არიან ჩართულნი. ძალთა გადანაწილება თითქმის დასრულებულია და, თუ უახლოეს დღეებში რამე არ შეიცვალა, პარლამენტი, შესაძლოა, უმცირესობის გარეშეც დარჩეს.

A3

აქრონომია

სკანდალი არ შედგა

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განსახილველი 11 საკითხიდან ყველაზე სკანდალურად თურქეთის კრედიტის თემა "გამოიყურებოდა"; მით უმეტეს, წინასწარ გაუფრთხილდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კრედიტის თემაზე "მკაცრი მოხსენება" ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს უნდა გაეკეთებინა; თუმცა, საბოლოო ვაშში, სკანდალი არ შედგა.

A4

უცხოეთი

11 საქმეაბრის ტერაქტში დაზარალებულ ცნობილი ერთადერთი პატიმარი თავისუფალია

გერმანიის სასამართლომ თავდებით გაათავისუფლა მაროკოელი მუნირ მოთასაღექი, ერთადერთი ადამიანი, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტთან დაკავშირებით დაზარალებულ იყო ცნობილი.

A5

საზოგადოება

ვისია გავი ფლვის სანაპირო?

მთავრობისთვის ნარდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, საქართველოს ზღვისპირა სანაპირო ზოლზე უკანონო მშენებლობები შეწყდება. ამის თაობაზე საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება. შეწყდება არათუ ახლის პროექტირება, არამედ იმის მშენებლობაც, რაც უკვე დაწყებულია.

A6

სამართალი

შატაქაბა უმსხვერპლოდ დასრულდა

გუშინწინ, გვიან ღამით გორის ცენტრში, კრიმინალურა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა. ღამის მორიგე პოლიციელებმა განსაკუთრებული სისწრაფით მოძრავი ავტომანქანის გაჩერება სცადეს.

A7

ანიონი

Table with 2 columns: City/Region and Value. Includes rows for თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი, თელავი, ზუგდიდი, გორი, ახმეტა, ქიანთრა, ბაგრა, სამცხრადია.

Table with 2 columns: Category and Value. Includes rows for აშშ დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლ., რუბლი.

იხადის ფორმულა 26 + 1

სოფო ბუკია

"26 + 1 - საქართველო" - გუშინ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა IPAP-ის პროგრამა წარადგინა, რაც ნატო-სთან ინდივიდუალური პროგრამით მუშაობას ითვალისწინებს, ანუ საქართველო ნატო-სკენ მიმავალ გზას ინდივიდუალური გეგმით გაუყვება. "საქართველო ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა დსთ-ს სივრცეში. ჩვენ შევძელია ნატო-ს სტანდარტებს მივუახლოვდეთ," - განაცხადა სააკაშვილმა ნატო-ს შტაბ-ბინაში სიტყვით გამოსვლისას. "პრადის სამიტზე ოფიციალურად გაკეთებული განცხადების შემდეგ, ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიც საქართველომ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე გადადგა. საქართველო ინტენსიურად მუშაობს ამ საკითხზე, აძლიერებს შეიარაღებულ ძალებს, უფრო ეფექტურს ხდის მათ და ევროპულ სტანდარტებთან აახლოებს," - აღნიშნა სააკაშვილმა.

ბაზრძილაბა A3 ბავრძილა



საქართველოს პრეზიდენტის და ნატო-ს გენერალური მდიანის შეხვედრა.

მუშტი-კრივი ქუთაისის ოპარისა და ბაღატის თეატრში

ქუთაისის მერი ოპონენტებს ფიზიკურად უსწორდება

ქუთაისის მერი ნუგზარ ფალიანი, "წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერების" მოთხოვნას, მიეცათ სიტყვით გამოსვლის საშუალება, მუშტი-კრივით გაუმასპინძლდა. ხელჩართული ჩხუბი მერიის თანამშრომლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს შორის, ქუთაისის ოპერისა და ბაღატის თეატრის სცენაზე გაიმართა, სადაც ფალიანი საკუთარ მხარდაჭერებს ხვდებოდა. შედეგად ნაცემია "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორი გიგა შუშანიანი და "ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის" ხელმძღვანელი გივი ჯიბლაძე.

დილით არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებმა მერიის წინ ბრიფინგი გამართეს და საზოგადოებას "წინააღმდეგობის კომიტეტის" შექმნა აუწყეს. პირველ ეტაპზე "წინააღმდეგობის კომიტეტში"

ბაზრძილაბა A2 ბავრძილა



განვე-გამონევა არასამთავრობოების გამორჩენის შემდეგ დაიწყო

ერაყი: ბუბის ვიეტნამი თუ რაბიონის ავღანეთი?

ბაღდადი, ბასრა, ფალუჯა, ნასირია, კუტი, ქერბელა, ამარა, რამადი - ჯერჯერობით, ეს არის იმ ერაყული ქალაქების სია, სადაც სუნიტი და შიიტი ერაყელები კოალიციის საოკუპაციო ჯარებს, უკვე მებრუნდებიან, სისხლისმღვრელ ბრძოლებს უმართავენ. პარტიზანული ომი, რომელიც ფრანგმეტყულობით და არაკორდინირებული ხასიათით გამოირჩევა, დღეს უკვე საყოველთაო ერაყულ ამბოხებაში გადაიზარდა. თუკი აქამდე კოალიციის ნაწილებზე თავდასხმებს და აფეთქებებს მხოლოდ ერაყელი სუნიტები ახორციელებდნენ, მათ მხარი შიიტებმაც აუბეს. უფრო სწორად, საყოველთაო ამბოხი სწორედ შიიტებმა დაიწყეს, რამაც სუნიტების აქამდე არნახული გააქტიურება გამოიწვია. მართალია, მათი მოქმედება ჯერ კოორდინირებული არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკელებს ორ ფრონტზე უწევთ ბრძოლების წარმოება. მათ თავიდან უხდებათ ერაყის ქალაქებსა და ბაღდადის უბნებზე კონტროლის დამყარება, რაც საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. თუკი ერთი წლის წინ ბაღდადში აშშ-ს არმია უბრძოლველად შევიდა, დღეს საქმე სხვაგვარად არის. ბრძოლებში უკვე ჩაერთნენ ელიტარული საზღვაო ქვეითი ნაწილები. დღემდე ერაყელების კონტროლის ქვეშ რჩება ბაღდადის შიიტური უბანი - "სადრი სიტი." გააფთრებული ბრძოლები ერაყის სხვა ქალაქებშიც მიმდინარეობს.

ლევან ღირსიაშვილი

რამადი და ფალუჯა - ერაყელების დაგეგმილი სპეცოპერაცია

ერთი წლის განმავლობაში ერაყელი პარტიზანების ტაქტიკა - დატყმა და გაქცევა, დაგეგმილმა და კოორდინირებულმა ოპერაციამ შე-

ცვალა. ეს პირველად ქალაქ რამადი გამოჩნდა, სადაც ერაყელებმა ამერიკელთა საზღვაო ქვეითთა ნაწილებზე მასშტაბური შეტევა განახორციელეს. შედეგად, 12 საზღვაო ქვეითი დაიღუპა და მრავალი დაიჭრა. პენეტაციის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, რამადი შეტევა რამდენიმე ათეულმა

ბაზრძილაბა A5 ბავრძილა

სამ დღეში 180 ადამიანი დაიღუპა

კერა, ბაღდადი: შეიძლება ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპოს. ანბრის მხარეზე მოტ ამბოხებლებთან ბრძოლაში. ნავაფი: ერთი აშშ ჯარისკაცი მოკლულა.

ორშაბათი, ბაღდადი: ორ ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. ანბრის პროვინცია: 4 ამერიკელი საზღვაო ქვეითი დაიღუპა. ნავაფი: ქუთაისის მხარეში ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. 11 ირანელი მარცხი: კუთაისის მხარეში 23 ირანელი დაიღუპა. მარცხი: მარცხი დაიღუპა ერთი საზღვაო ჯარისკაცი.

სამშაბათი, ნასირია: იტალიელი ჯარისკაცი დაიღუპა. მარცხი: მარცხი დაიღუპა. 15 ირანელი დაიღუპა. 11 ირანელი დაიღუპა. კუთაისი: ამბოხებლებმა უკრაინელი ჯარისკაცი მოკლეს.

სამშაბათი, რამადი: 12 საზღვაო ქვეითი და 66 ერაყელი მოკლულა. ფალუჯა: საზღვაო ქვეითებმა 34 ერაყელი მოკლეს. ამარა: 15 ერაყელი დაიღუპა. მოტ ამბოხებლებმა ბრძოლაში დაიღუპა. მარცხი: მარცხი დაიღუპა.

სარქმელი ნატო-სკან

კოზა ლიკლიქაძე "რადიო თავისუფლება" საპროგრამო "24 საათისთვის"

სამშაბათ დილით, ვიდრე პრეზიდენტის ლაინერი ქვეყნის საზღვრებს დატოვებდა, საქართველოს პრესამ ეს ვიზიტი მონათლა, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების გზაზე. მოლოდინი გამართლდა, სააკაშვილმა ალიანსის ხელმძღვანელობას წარუდგინა ნატო-ში ფორსირებულად გაწევრიანების პროგრამა და სოლიდური მხარდაჭერაც მოიპოვა. ახლა სიტყვა საქართველოს ხელისუფლებაზეა, რომელმაც ძალიან მოკლე დროში - სულ რაღაც ერთ წელიწადში უნდა დაძლიოს საკმაოდ დიდ სიმბალეტზე შემოღებული თამაში.

ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება და, ამ მხრივ, საგარეო პოლიტიკაში ერთგვარი მემკვიდრეობითი ხაზის შენარჩუნება, მიხედვით სააკაშვილის საპრეზიდენტო პროგრამის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს. ინაუგურაციის დღეს, 25 იანვარს, საქართველოს ახალგაზრდა ლიდერი ბევრს საუბრობდა ქვეყნის საერთაშორისო პასუხისმგებლობაზე და ევროპული კურსის ურყეობაზე.

ბაზრძილაბა A3 ბავრძილა

ქუთაისის მერი სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ მოქმედებს

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქუთაისში პრობლემები აქვს

მანი ურუხაძე

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ამერიკელი მენეჯერები ქუთაისის მერს ნუგზარ ფალიანს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში აღნაშაულებენ. როგორც გსტეკ-ში მიჩნევენ, "ფალიანი, რომლის კრიმინალურ ავტორიტეტთან კავშირზეც მასმედია არაერთხელ ამხვილებდა ყურადღებას, ახლა გსტეკ-ის მოწინააღმდეგეებს - ე.წ. "მცირე ლიცენზიანტებს" გადაეფარა. როგორც ირკვევა, ამჟამად ქუთაისის მერი გსტეკ-ს ელექტროსადენებსა და ტრანსფორმატორებს ედავება. "მას სურს, დენი ქუთაისელებს კერძო კომპანიების გავლით მიაწოდოს," - ნათელს ჰგონებ გსტეკ-ში ფალიანის შორს მიმავალ მიზნებს.

ბაზრძილაბა A4 ბავრძილა

ამერიკა საქართველოს ხელისუფლებას ტრაფიკინგთან ბრძოლას "აიძლებს"

სოფიკო ჩხიკვაძე

საქართველოში ტრაფიკინგის პრობლემის არსებობა არც ისე დიდი ხნის წინ გააცნობიერეს, თუმცა სახელისუფლებო დონეზე მასთან ბრძოლის შესახებ რეალური საუბარი და, მით უმეტეს, რეალური ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს ხელისუფლება მეგობარი ამერიკის მეთვრელე შტატების მთავრობის მხრიდან ყოველგვარი დახმარების შეწყვეტის საფრთხის წინაშე დადგა.

ბაზრძილაბა A7 ბავრძილა

ამერიკა საქართველოს ხელისუფლებას ტრაფიკანტებს ბრძოლას "აიძლებს"

პირველი გვერდი

კიდევ ერთხელ ტრეფიკინგის დეფინიციისთვის: ტრეფიკინგი ეს იგივეა, რაც ადამიანებით ვაჭრობა და მათი ექსპლუატაცია. ამასთან, აუცილებელი არ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი მანცადამიანც უცხო ქვეყანაში იქნას გადაყვანილი - ტრეფიკინგად ითვლება ყველაფერი, რაც გულისხმობს ადამიანისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას და მუშაობის იძულებას. სამუშაო კი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, მაგრამ არასდროს - სასიამოვნო.

მთელ მსოფლიოში ტრეფიკინგი უკვე იქცა კრიმინალური ინდუსტრიის ერთ-ერთ ნაწილად სფეროდ. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეული გამოცდილება უკვე დაგროვდა, უკანონო მოვების მიღების თვალსაზრისით, ტრეფიკინგს ნარკობიზნესსა და იარაღით ვაჭრობის გვერდით განიხილავენ; მეტიც, არსებობს მონაცემები, რომლის თანახმადაც, ნარკოვაჭრობაში მბრუნავი "შავი ფული" ოდენობას ტრეფიკინგთან შედარებით დასაჯებად გადააჭარბა. იქიდან გამომდინარე, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მილიონობით დოლარსა და მილიონობით ევროსთან შედარებით ტრეფიკინგთან წინააღმდეგ ბრძოლაში. ამერიკის მთავრობამ მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას მიმართავს, რომ ესა თუ ის ქვეყნები წახალისოს, საქართველოში კი აბსოლუტურად იმპორტირებული ტრეფიკინგის წინააღმდეგ. სწორედ ასეთი იძულებითი ხერხი გამოიყენეს შარშან, ზაფხულში, ჩვენი ქვეყნის მიმართაც, როდესაც საქართველო გერმანიის წინააღმდეგ მუშაობდა. იგივე ნორდგეტის მუშაობაში მოხდა, ანუ იმ ქვეყნების საბაზო ახდენების, რომლებშიც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა ვერცხვად არ მიმდინარეობს და ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატები მათთვის ყოველგვარი დახმარების მიწოდებას წვევდნენ; თუმცა შარშან, 11 ივლისს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ადამიანებით ვაჭრობის შესახებ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, შესაძლებელია კატეგორიის ქვეყნებზე აღიარებულ სახელმწიფოებს 90-დღიანი ვადა მიეცათ, რათა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეული ქმედითი ნა-

ბიჯები გადაედგათ. ამ მოხსენების გამოქვეყნებამ საქართველოს ხელისუფლებას, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატური რეაქცია გამოიწვია, ანუ ხელისუფლებამ საკუთარი ბრალეულობის აღიარებას გადაბრალების მეთოდით მოქმედება ამჯობინა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ულტიმატუმი გაუგებრობად მოინათლა, ხოლო ეს გაუგებრობა არა პრობლემის მიმართ საკუთარ უგულისყურო დამოკიდებულებას, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ქვეყნის საწინააღმდეგო ინფორმაციის მიწოდებას დაბრალებდა.

არადა, ადამიანებით ვაჭრობის პრობლემაზე მთავრობა ყურადღებას დიდად რომ არ ამახვილებდა, ამაზე ის ფაქტი დამტკიცებს, რომ იმ ცვლილებების პროექტის მიღება, რომელიც ტრეფიკინგს სისხლის სამართლის კოდექსში დაემატებოდა, თითქმის მთელი ერთი წლის მანძილზე გატანაწურდა.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლის მარი მესხის განცხადებით: **"თავდაპირველად, საუბარი იყო იმაზე, რომ სისხლის სამართლის კოდექსში უშუალოდ ტრეფიკინგის შესახებ მუხლის შეტანა კი არ მომხდარიყო, არამედ ამ დანაშაულთან ბრძოლა დარეგულირებულიყო უკვე არსებული მუხლებით, კერძოდ: თაღლითობა, საზღვრის უკანონო გადალახვა, ყალბი პასპორტების დამზადება და ასე შემდეგ. პრინციპში, ეს შესაძლებელი იყო, თუმცა სრულად ვერ ასახავდა იმ დანაშაულის შემადგენლობას, რომელსაც ტრეფიკინგი წარმოადგენს და, ამასთანავე, ამ მუხლის ერთობლიობა გაცილებით ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე ეს ტრეფიკინგის მუხლი იქნა შემდგომში გათვალისწინებული. უკვე მიღებული ცვლილებების პროექტის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის "ამერიკის იურისტთა ასოციაციას". საბოლოოდ ეს ცვლილებების მიღების დაჩქარება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებამ განაპირობა".**

თავის მხრივ, იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედებით დეპარტამენტის უფროსი, კანონპროექტის ავტორი გიორგი გოგიბერიძე ამბობს, ცვლილებების მიწოდება პროცესის შესახებ არ ყოფილა გაჭიანურებული, უბრალოდ - მათი



საქართველოს ხელისუფლება ტრეფიკინგს ამერიკის დასახმარებლად ებრძვის

მიღება პროცედურების სრული დაცვით მოხდა.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საქართველოს პარლამენტმა ტრეფიკინგის შესახებ ცვლილებების მიღება მხოლოდ მას შემდეგ დააჩქარა, რაც ამის თაობაზე ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი, დიპლომატიის კვლავი მოწვევით საქართველოს კვლევის ცენტრში დაინახა. მაილსი აღაპირადა და სისხლის სამართლის კოდექსში მათ ჩამატებას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენების გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე მისცა დასტური. უკვე მესამე კატეგორიის ქვეყნებში მოხვედრილი ქვეყნის ხელისუფლებამ კი მათი სასწრაფო გამოქვეყნებითა და ძალაში შესვლით მოიწონა თავი.

მოკლედ, იძულების მეთოდმა გაჭრა და საქართველომ, სხვა ათ ქვეყანასთან ერთად, 90 დღიანი ვადა შედეგანადად გამოიყენა. ასე შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები, ანუ მუხლი 143 პრიმ, სახელმწიფოებრივი - "ადამიანით ვაჭრობა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება", რომელიც საკმაოდ მაკაცრ სასჯელებს, მაქსიმალურ პატიმრობის ვადაც კი 20 წელიწადის ითვალისწინებს. ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაინიშნა, რომ საქართველო მესამე კატეგორიის ქვეყნების სიიდან ამოკლებული იქნა, ცხადია, მხოლოდ კანონის არსებობა საკმარისი არ არის, იგი კიდევ უნდა აღსრულებს. სწორედ ტრეფიკინგის შესახებ მუხლებს ძალაში შესვლის შემდეგ ადამი-

ანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში წინსვლის არარსებობამ და ამ მუხლების რეალურად გამოყენებლობამ წარმოშვა საშიშროება, რომ საქართველომ კვლავაც მესამე კატეგორიის ქვეყნებში გადაინაცვლოს. დაახლოებით ერთი თვის წინ ამერიკის ხელისუფლების მხრიდან საქართველოს ისევ მესამე კატეგორიის ქვეყნების გვერდით დაყენების საშიშროების გახმოვანებას შესაბამისი რეაქცია მოჰყვა; კერძოდ, ამ განცხადებას, რომელმაც კვლავ იძულების მეთოდის სახით გათვალისწინა, სასწრაფოდ გამოეხმაურა საქართველოს ახალი ხელისუფლება; მეტიც, უშიშროების საბჭოს მიდევნად სულ რამდენიმე დღის დაინშნულმა ვანო მერაბიშვილმა ერთ-ერთი პირველი, რასაც საბჭოს სხდომა მოუძღვნა, სწორედ ტრეფიკინგი და მისთან დაკავშირებული პრობლემები გახლდათ. დაისახა კონკრეტული გეგმა. მარი მესხის განცხადებით: **"თავის დროზე ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო ნაკადი ედვარდ შევარდნაძემაც დასახა, თუმცა მასში ფუნქციები არასათანადოდ იყო გადანაწილებული, არ ხდებოდა პასუხისმგებლობის გადანაწილება. ამჟამად კი უშიშროების საბჭოში შემავალი უფრო ეფექტური უნდა იყოს. ის შეტად რეალურად გამოიყურება, თუმცა, ცხადია, ამ გეგმის აღსრულება შესაბამისი პირობის მონდობისაზე დამოკიდებული".**

საქართველოს ხელისუფლების გააქტიურებას სამართალდამცველი სტრუქტურების მხრიდანაც მოჰყვა შესაბამისი ნაბიჯები; კერძოდ,

შარშან, საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემდეგ, ტრეფიკინგის მუხლით სულ ორი საქმე იქნა აღძრული; სამაგიეროდ, საქმეების რაოდენობამ წელს, გაზაფხულზე იმატა, მას შემდეგ, რაც ამერიკის ხელისუფლებამ საქართველოს მთავრობას თითო დაუქვინა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილების უფროსი ფრიდონ კენკეაშვილის თქმით, რომელიც ამ თანამდებობაზე იანვარში დაინიშნა, წელს ტრეფიკინგის მუხლით უკვე ოთხი საქმე აღძრულა; აქედან სამი საქმე ორიოდ კვირის წინ აღიძრა ერთი და იმავე ჯგუფის მიერ ჩადენილი რამდენიმე დანაშაულის გამო.

თავად ფრიდონ კენკეაშვილი უსამართლოდ მიიჩნევს ამერიკელების ასეთ მკაცრ ვერდიქტს. ისტორია მეროდება და, შარშანდღის არ იყო, წელსაც ტრეფიკინგთან მებრძოლი მთავარი სამართალდამცველი მესამე კატეგორიის ქვეყნებში საქართველოს მოხვედრის საშიშროებას კვლავაც არასამთავრობო ორგანიზაციების "დამასხურებლად" მიიჩნევს.

"სულ სხვა რეალურად დანახული სურათი, ანუ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შეფასება იმ პრობლემების გათვალისწინებით, რაც ჩვენ - ამ დანაშაულთან მებრძოლებს გვაქვს", - ამბობს კენკეაშვილი.

თავის მხრივ, კენკეაშვილის მიმართ პრეტენზიას გამოთქვამენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები; მეტიც, ბევრის აზრით, ახალი ხელისუფლების მიერ გაცხადებული მზადყოფნა, რეალურად ებრძოლოს ტრეფიკინგს, ერთგვარად ხუნდება უკვე ტრეფიკინგის ბრძოლის განყოფილების უფროსად ნიქოლოს მელაშვილი რეპუტაციის მქონე ადამიანის დანიშვნით, როგორც ფრიდონ კენკეაშვილია. გარდა ამისა, მის მიმართ უფრო კონკრეტული პრეტენზიებიც არსებობს.

"ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მან ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყობ, როდესაც ამ თანამდებობაზე დანიშნეს", - ამბობს მარი მესხი, - **სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილების უფროსი საჯარო შეხვედრებზე ასახელებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ვინაობას, რაც ყოველად დაუშვებელია მათი უსაფრთხოების დაცვის გარანტიებიდან გამომდინარე. მეტსაც ვეტყვი, კანონპროექტი ტრეფიკინგის შე-**

ორი სიტყვით

თბილისი. სამართალდამცველებმა ყაჩაღობისთვის დააკავეს 1994 წლიდან ძენილი, 34 წლის გოჩა ტრისტანის ძე ბურძღლა. დაკავების ოქერტა შინგან საქმეთა სამინისტროს ძენის სამართალდამცველის და გურისა და წყალტუბოს თანამშრომლების მიერ ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად განიცდიდა. გოჩა ბურძღლა 1994 წლის 31 მარტს, რამდენიმე პირთან ერთად, სოფელში ყაჩაღურად თავს დაესხა მეგრელების ოჯახს, საიდანაც გაიტაცეს სხვადასხვა სახის ძვირადღირებული საოჯახო ნივთები, ოქროულობა და ფული. მანვე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულის მიძე ხარისხის დაზიანება მიყენა თავის მეუღლეს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. გარდა ამისა, სამართალდამცველებმა დააკავეს კიდევ ერთი ძენილი, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში მცხოვრები ნოდარ გაბაიძე, რომელიც 2002 წელს უკანონოდ დამზადებული ე.წ. "კარაბინის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით სხვადასხვა სახის დანაშაული ჩაიდინა. **ინტერ-პრესი**

თბილისი. მეტროსადგურ "ვაგზლის მოედნის" ქვედა ვესტიბულში გუმბინ ჩადენილი ხულიგანობის ბრალდებით მეტროპოლიტიენის პოლიციელებმა 17 წლის ლევან ზარიძე და მისი თანატოლი რამაზ შენგელია დააკავეს. დაკავებულებს ბრალად ედებათ 18 წლის ნიკოლოზ პოლისიანისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება.

მეტროპოლიტიენის სადგურში ჩადენილი კიდევ ერთი ხულიგანობის გამო მეტროსადგურ ახმეტელის ქვედა ვესტიბულში 27 წლის მიხეილ ონაშვილი, მისი თანატოლი დავით ტრაპაიძე და 17 წლის დავით კორკოტაძე დააკავეს. ხულიგანობისათვის კანონი ჯარიმას ან ერთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

ხონი. ხონის რაიონის სოფელ ლხინჯორისთან დამაკავშირებელ ხიდთან, მდინარე ცხენისწყალში, მამაკაცის გვამი აღმოჩინეს. დაღუპული, დაახლოებით, 45-50 წლის უნდა იყოს. გარეგნული დოკუმენტების შედეგად გვამს ძალადლობის ნიშნები არ აღმოჩინდა. პოლიციის ვერსიით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. **მედია-ნიუსი**

თბილისი. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის მკვიდრი, 22 წლის ლევან ჯინჯოლაყა ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ჯინჯოლაყა, თანამშრომლებთან ერთად, ქობულათისთვის ავტომანქანა მოსკოვის ნარტყვას შეეცადა, თუმცა ამ უკანასკნელმა თავდამსხმელებისაგან თავის დაღწევა მოახერხა. **მედია-ნიუსი**

თბილისი. თბილისში, მეტეკის მარჯვენა სანაპიროზე მომხდარ ავტოავარიას 18 წლის ლაშა სიჭინავას სიცოცხლე ემსხვერპლა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ავტომანქანა "ოპელ", რომელსაც 17 წლის ოვარილი პატიშვილი მართავდა, ხეს შეეჯახა. მიღებული დაზიანების გამო მისი მგზავრი ლაშა სიჭინავა საავადმყოფოში გარდაიცვალა. საქმეს იძიებს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს სამსახური. **მედია-ნიუსი**

თბილისი. ღონისძიება "ზაფხუნი-2004"-ის გატარებისას მარნეულის რაიონის პროკურატორის თანამშრომლებთან ერთად დააკავეს მკვლელობის მცდელობისთვის ძენილი, 27 წლის რაშა მუსაევი, რომელმაც 2002 წლის 21 მარტს, მარნეულში, მანქანისთვის ქუჩაზე, ურთიერთშეზარაპირობის დანით დაჭრა ემიდ ალიევი. **მედია-ნიუსი**

თბილისი. ეკოპოლიციის თანამშრომლებმა უკანონო თევზჭერის ფაქტზე ამხილეს მარნეულში მცხოვრები ლატიფ იბრაგიმოვი, რომელიც სოფელ ზაიდართან მდებარე მდინარე ხრამზე ელექტრომოკით თევზს იჭერდა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის მარნეულის განყოფილება **მედია-ნიუსი**

თბილისი. კორუფციას და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის თანამშრომლებმა ამხილეს ცაგერის რაიონის სატყეო უბნის უფროსი, სოფელ ქვედა ცაგერში მცხოვრები გულევრ ჭილაგია, რომლის სამსახურებრივი გულგრობის გამო იმავე სოფლის მკვდრმა სოზარ დავითილიანმა ტყვეში უნებართვოდ მოჭრა 1430 ლარის ღირებულების ნაღლის ხეები. საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

დავით მირცხულაძეს პატიმრობის ვადა გაუბრძლეს

მას შემდეგ, რაც სემეკის ყოფილ თავმჯდომარე, ენერგეტიკის ექსპერტის დავით მირცხულაძეს წინასწარი სამთიანი პატიმრობის ვადა ამოეწურა, პროკურატურამ საოლქო სასამართლოს მიმართა და ბრალდებულისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელება მოითხოვა. გუმბინ საოლქო სასამართლომ დახურულ სხდომაზე რამდენიმე საათიანი მსჯელობის ბოლოს პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფ დავით მირცხულაძეს პატიმრობის ვადა კვლავ სამი თვით გაუგრძელა.

მირცხულაძეს ადვოკატები გუმბინ მაქსიმალურად ცდილობდნენ, მართლმსაჯულება პროკურატურის "კაპრიზის" უსაფუძვლობაში დაერწმუნებინათ და მათი დაცვის ქვეშ მყოფისთვის საპატიმრო ვადის შეცვლილებას ან აღმკვეთი ღონისძიების მთლიანად გაუქმებას ითხოვდნენ. მათმა მონდომებამ გუმბინ უშედეგოდ ჩაიარა.

"ბოლო დროს ერთი სქემა მოქმედებს: ვინც ფულს იხდის, თავისუფლებენ, ვინც არ იხდის - განუსაზღვრელი ვადით წინასწარ პატიმრობაში ტოვებენ. სასამართლომ, როგორც აქამდე, პროკურატურის "კაპრიზი" დააკმაყოფილა", - ასეთი შეფასება მისცეს ექსპერტისტრის, თანამდებობრივი უფლებამოსი-

ლების გადამატებასა და ბიუჯეტისთვის 6 მილიონი დოლარის დაფარვისთვის ბრალდებული დავით მირცხულაძეს ადვოკატებმა მართლმსაჯულების გუმბინდელ გადაწყვეტილებას.

გუმბინდელ დახურულ პროცესს თავად ბრალდებული არ ესწრებოდა. ის ბადაგამა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან პროცესზე ვერ მივიყვანა.

დავით მირცხულაძეს ადვოკატების - იასონ და ეკა ბესელიების განმარტებით, პროკურატურას კიდევ სამი თვით აღმკვეთი ღონისძიების - პატიმრობის გაგრძელება მოეთხოვა, რადგან პირველი სამი თვე გამოძიებამ შესაბამისად არ გამოიყენა.

"ამ წნის განმავლობაში არ ჩატარებულა არც ერთი საგამოძიებო მოქმედება, მირცხულაძესთან არ ჩატარებულა საგამოძიებო მოქმედება - დაპირისპირება. ბრალდებული არავისთან დაუპირისპირებიათ; არ წარმართულა არანაირი პროცედურა, ამიტომ გაუგებარია, რატომ მოითხოვა პროკურატურამ კიდევ სამი თვით მირცხულაძეს ციხეში დატოვება და რატომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა საოლქო სასამართლომ. დავით მირცხულაძე ვერსად დამიძალდა. თუ გამოძიებას



დავით მირცხულაძე

სურს ბუღალტრული დოკუმენტაციის შესწავლა ან სხვა პროცედურების წარმართვა, ამას მირცხულაძეს ციხის გარეთ ვიზიტის დროსაც შეეძლება", - აცხადებ-

ენ ადვოკატები, რომლებიც მანც ელოდნენ ყოფილი მინისტრის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებას.

24 საათი

შეიტანება უმსხვირპლოდ დასრულდა

გუმბინი, გვიან ღამით გორის ცენტრში, კრიმინალურა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა. ღამის მორიგე პოლიციელებმა განსაკუთრებული სისწრაფით მოძრაი ავტომანქანის გაჩერება სცადეს. ავტომანქანის მგზავრებმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს და მუდობრად დასაშინებლადმცველებს ავტომობილი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. ამის შემდეგ სამართალდამცველებმა გზები გადაკეტეს და დაუშორილებული მგზავრების დაკავება მანც შეძლეს. როგორც გაირკვა, დაკავებულები - გიორგი ხუციშვილი, გიორ-

გი მიხანაშვილი და დავით ხუციშვილი - გატაცებული ავტომანქანით მოძრაობდნენ. სამართალდამცველებმა ჩხრეკისას ნიღბები და ავტომობილი ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. ამასობაში პოლიციის მიაკითხა დაზარალებულმა - გორის საავადმყოფოს ქირურგმა ჯიმშერ ყველაშვილმა და მასზე განხორციელებული თავდასხმისა და საკუთარი ავტომანქანის გატაცების შესახებ ამცნო.

სამართალდამცველთა თქმით, გიორგი ხუციშვილი, გიორგი მიხანაშვილი და დავით ხუციშვილი ექ-

იმს მაშინ დაესხნენ თავს, როცა მას მანქანა ავტოფარგში შეჰყავდა. თავდამსხმელებმა ჯიმშერ ყველაშვილს იარაღის მუქარითა და ძალადობით წაართვეს ავტომანქანა და გაიქცნენ.

გუმბინ გავრცელებული ინფორმაცია, რომ პოლიციასა და კრიმინალურ მომხდარში მონაწილე შეიარაღებული შეტაკებისას ერთ-ერთი პოლიციელი მძიმედ დაიჭრა, ჩვენთან საუბარში არ დადასტურა გორის რაიონის პროკურორმა რომან გვიშიანამ.

"დაკავების ოპერაციისას არაივნ დაშავებულა. ყველაფერმა

24 საათი

ნიგნი ახალ საქართველოში

ნიგნი კვანძი

ნიგნი ბავშვებისათვის ილუსტრირებული "ჩიპოლინოს თავგადასავალი" ან "პეპი გრძელი წინდაა", სტუდენტებისათვის - ლესინგის "ლაოკონი" და დიპლომატიის ისტორიის სახელმძღვანელო, ნიგნის ფანტოკოსი მოყვარულისთვის და კოლექციონერისთვის - "ვეფხისტყაოსნის" იშვიათი გამოცემა, ხოლო საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის - უსარგებლო ნივთი. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ეს "გარკვეული ნაწილი" უდიდეს ნაწილად იქცა. გავრცელებული აზრის თანახმად, დღეს ნიგნები არ აინტერესებთ. ქართველი კაცი უფრო გემოთმოყვარედ იქცა. ამის თვალსაზრისით მაგალითია სუპერმარკეტებისა და რესტორნების უსარგებლო ბამბე ზრდა. ნორმის ფარგლებში კვების ობიექტების მასივობის მნიშვნელობისა, მაგრამ ნიგნის ძველ მალაზიას რომ მეორითავე სახინკლდ ჩაანაცვლებს, ნამდვილად დამაფიქრებელია.

და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ნიგნებს მზითვები ატანდნენ და საუკეთესო საჩუქრად თვლიდნენ. სადაც 1848 წელს ამიერკავკასიაში პირველი ნიგნის მალაზია გაიხსნა, მას შემდეგ, კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვედებოდა ამგვარ დაწესებულებებს. დღეს კი თითოეულ ჩამოსათვლელია მათი რიცხვი, მხოლოდ რამდენიმე ფუნქციონირებს და უმეტესობაში შესვლისას თავი "1000 წერილში" უფრო გვეგონება, ვიდრე საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საერთოდ გაუქმდა "აკადემიური ნიგნის" მალაზია. "საუნჯე" დღეს ოქრის ბირაზე ქცეულა, ხოლო "ტექნიკური ნიგნის" მალაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ ადგილობრივი წარმოების ფეხსაცმელი.

ერთადერთი ძველი ნიგნის მალაზია, რომელმაც მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა პირვანდელი სახე, გახლავთ "სამშობლო". მას სამოქალაქო ომის დროსაც არ შეუწყვეტია მუშაობა. მის დირექტორს მანანა კაციტაძეს მეგობრები ურჩევდნენ, თავი დაენებებინა ამ ნამგებანი საქმისათვის, მაგრამ დღეს ამყა იმით, რომ უმძიმეს პერიოდს გაუძლო და თბილისს შემოუნახა ძველი ნიგნის მალაზია.

"ჩვენ ნიგნის მალაზიის ძველი ტიპი შეინარჩუნეთ. ვფიქრობ, ახალი მალაზიები კარგია, მაგრამ ძველ ნოსტალგიურ განწყობასა და მონატრებას ჩვენთან შემოსული ადამიანი მთავრად გრძნობს. გამსახურდაც გაიხსნა "ნიგნის სახლი", მაგრამ ჩვენ ერთ კონკურენტებად არ ვთვლით. მათ სინტერესო ფაქტსაც გეტყვით, თანამშრომლებმა მითხრეს, რომ რამდენიმე დღის წინ შემოსულა ნინო ფანია ("ნიგნის სახლის" მფლობელი) და ბავშვისათვის ნიგნი უყიდა. ჩვენ ჩვენი მყიდველები გვყავს და მიხარია, რომ ნიგნი ვაჭრობის სფეროში ყინული დაიძრა," - ამბობს მანანა კაციტაძე.

საბედნიეროდ, ყინული მართლად დაიძრა. ერთი წლის წინ ჭავჭავაძეზე ახალი ნიგნის მალაზია გაიხსნა. "პარნასი" პიონერია, ეს გახლავთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პირველი მალაზია, სადაც შეგიძლიათ დასაბამოვრო გარემოში ნიგნის დათვალიერებაც და შექმნაც. მალაზია 11 საათზე იხსნება. დილით მისულს ხშირად დაგხვდებათ უცხოელი, რომელიც მის გაღებას მოუთმენლად ელოდება. ალტერნატიული შემოთავაზება სწრაფად აიტაცა ქალაქმა. აქ დადიან ბიწვი-ჯერებიც და ხანდაზმულებიც. უფრო ხშირად ათვალიერებენ 20-ლარიან ნიგნებს და ყიდულობენ ლარიან მისალოცებს. "პარნასის" მენეჯერის დაკვირვებით, ნიგნისადმი ინტერესი დიდაა, თუმცა ყიდვით უფრო ბანკები და ორგანიზაციები ყიდულობენ. აქ ყველა ნიგნი კომპიუტერშია შეტანილი და თემატურად განლაგებული. თანამშრომლები

ლიმილიტი ავიხსნიან, თუ რატომ არ აქვთ, ვთქვით, ედგარ პოს მოთხრობები. ძირითადად მხატვრული ლიტერატურაა, თუმცა სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებსაც შეხვდებით. განსაკუთრებული დაინტერესება პატარების მშობლებში შეიმჩნევა. თურმე ყველაზე კარგად სწორედ საბავშვო გამოცემები იყიდება. სამწუხაროდ, ბევრი ნიგნი ქართულად ან ნათარგმნი არ არის, ან 15 წლის წინანდელი თარგმანებია. ასეთია "პატარა უფლისწულიც".

ჩვენი სტუმრობა "პარნასში" კვირას დაემთხვა. კვირა კი აქ პატარების დღეა. რომელიმე საბავშვო ნიგნზე ცხადდება ფასდაკლება. ნებისმიერ მშობელს შეუძლია მოიყვანოს ბავშვი. მათთვის კეთილი მეზღაპრე კითხულობს აუცილებლად ქართულ ზღაპრს, რადგან დღევანდელმა ბავშვებმა ჩიჩილაკი არ იცანს რა არის, ხოლო ნაბადიანი თოვლის ბაბუის დანახვაც ტირიან.

"პარნასში" ნიგნის პრეზენტაციებსაც დაულო საფუძველი. იმიტომ, რომ თქვენ ნიგნის პრეზენტაცია მთავრად, ის აუცილებლად კარგი უნდა იყოს. სხვა პრობლემებს "პარნასი" აგვარებს. "ერთადერთი, მსურველი იხდის დამატებით 20-30 ლარს გარეთ გამოტანილი პლაკატის დასამზადებლად. ჩვენ პასუხს ვაგებთ ნიგნების ხარისხზე. მალე გვექნება საიტო. ჩვენს გვერდით გაიხსნა კაფე, სადაც შეგიძლიათ ძველი კინო-აფიშების ფონზე დათვალიეროთ საინტერესო ნიგნები," - ამბობს "პარნასის" ერთ-ერთი დირექტორი გიორგი დარსალია.

ამ ნიგნის მალაზიას ხშირად სტუმრობენ ცნობილი ადამიანებიც - კოტე ყუბანეიშვილი, ლამა ბუღაძე, მაკა ასათიანი... ზოგჯერ უცნაური მყიდველიც შემოდის. ერთმა ახალგაზრდა კაცმა 200 ცალი ნიგნი თაროს ზომის მიხედვით იყიდა.

მალაზიის ხელმძღვანელობამ მარნ გამოვლინა გამარჯვებული "მუდმივი მყიდველის" ნომინაციაში და დააჯილდოვა იგი. ეს გახლდათ 50 წლის კაცი, "ძველის ბავშვთა სახლის" თანამშრომელი. "გონი ყუბანეიშვილი ვაგანაწყენით, მას რომ არ გადავეციტო ეს ჯილდო," - ამბობს მალაზიაში.

პიონერი სხვა მალაზიებში კონკურენტს, რა თქმა უნდა, ხედავს, მაგრამ ეს მისთვის სტიმულის მიცემია. "პარნასის" კონკურენტად "ნიგნის სახლი" და სულ 4 თვის წინ გახსნილი "ლიტერატურული კაფე" მოიზარება. ამ უკანასკნელზე ქალაქში განსხვავებული აზრია, მაგრამ კაფეში მისული, ადვილად დარწმუნდებით, რომ აქ "უბრალო" ხალხი არ დადის. ირაკლი ჩარკვიანი, რომელიც ირაკლი კაკაბაძესთან ერთად პატარა მაგიდასთან იჯდა, აპკარად ეკმაყოფილი იყო აქაურობით: "აქ არის კარგი გარემო, მოდის ხალხი, ვისაც აინტერესებს ნიგნი. ჩემი CD კი მხოლოდ აქ იყიდება. მე არ მომწონს საბჭოთა ნიგნის მალაზიების ტიპი, ჩემთვის თანამედროვე უფრო მისაღებია". ირაკლი კაკაბაძემ კი თავის მხრივ დაამატა, რომ ჩარკვიანს ყოველ მეორე დღეს ყველგან ვერ ნახავთ: "ფუტურისტული გაგებით, ლიტერატურული კაფე 20 წლით უსწრებს დროს, აქ ყნობა შეხვედრები როგორც ძალიან ცნობილი, ასევე უცნობ ახალგაზრდა მწერლებთან. ეს გზას უხსნის მათ მომავალი საქმიანობისთვის".

ნიგნის მალაზია მწერლისათვის აუცილებელი რგოლია მკითხველთან დასაკავშირებლად. გიორგი ლობჯინიძე (ირანისტი, მთარგმნელი, პოეტი) 30 წლის არის და 6 ნიგნი აქვს გამოცემული. მისი ბოლო ნაშრომებია, ჯობრად ხალილ ჯობრანის "იესო ძე კაცისა", ნომინირებული იყო ფესტივალზე "საბა", საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში. გიორგი ბუკინის სტური მალაზიის ხშირი სტუმარია. მას ძველი ნიგნები უფრო იზიდავს, რადგან მიაჩნია, რომ მკითხველი ნიგნს აოცრებს და რაც მეტი ადამიანის ხელში გაუვლია მას, მით



კოტე ყუბანეიშვილი "ნიგნის სახლში".



მალაზია "სამშობლო" უმძიმეს პერიოდში შეინარჩუნა პროფილი.



"საუნჯე" ახლა სხვადასხვა პროფილით ვაჭრობს.

მეტ შთაბეჭდილებას ინახავს. მწერალს კარგად ახსოვს ბავშვობისდროინდელი ნიგნის მალაზიები. დღეს კი მათი გაქრობით სიცარიელეს გრძნობს და თერაპიულად ახსენდება (გიორგი იქ იყო ერთადერთი ქართველი სტუდენტი თეოლოგიის ფაკულტეტზე), სადაც უნივერსიტეტის გაყოფაზე, კაფე-სასადილოების ნაცვლად, ნიგნის მალაზიებია ჩამკრივებული. თავად გიორგი ლობჯინიძე ბიბლიოთეკაში ნიგნის ნაკითხვას, სახლში, ინტერნეტ გარემოში, მასთან მარტო დარჩენას ამჯობინებს.

"ერთი ცუდი ტენდენცია შეიმჩნევა ჩვენთან. დამკვიდრდა ნიგნის ერთსახიანი გარეგანი ფორმა, რაც მოსაწყენია მკითხველისათვის. განახლება აუცილებლად უნდა მოხდეს. მეორე პრობლემა ისაა, რომ გამოცემლები აქცენტს, რატომღაც, პროზაზე აკეთებენ და მათ დამკვიდრეს აზრი, თითქოს საზოგადოებას პოეზია არ სჭირდება, რაც, დამეთანხმებით, არასწორია. ნიგნის მალაზიებსაც შეეხება, მე მომწონს "ლიტერატურული კაფე", სადაც ყავის დალევასთან ერთად, შეგიძლიათ შენთვის საინტერესო ნიგნი წაიკითხო. მოგიყვანთ მაგალითს ჩვენი ერთ-ერთი ახალი მალაზიის მომსახურების ისტორიიდან. შევუკვეთე ინგლისურენოვანი ნიგნი, საკმაოდ ძვირადღირებული და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მითხრეს, რომ ვერ ჩამომიტანდნენ. სხვა დროს მათი მომსახურებით არ ვისარგებლებ - მყიდველი უნდა დააფასოს," - ამბობს გიორგი.

მწერლებისა და ნიგნის გამყიდველების გარდა ჩვენს საზოგადოებაში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთათვის ის არც შემოსავლის წყაროა, არც უბრალოდ საკითხავი, ის მათთვის საკულტო საგანია.

ლევან თათაქიშვილმა მარკეტის მგეროვებით დაიწყო და ნიგნების კოლექციონერად იქცა. დღეს ლევანს 8000 ნიგნი აქვს. მათ შორის "ვეფხისტყაოსნის" 230 გამოცემა, გამოცემული ჩილემი, ჩინეთში და იაკუტიშიც კი. იგი ყველა ბუკინისტს იცნობდა. დღეს კი მათგან მხოლოდ სამია ცოცხალი. კოლექციონერის დაკვირვებით, დღეს ნიგნს მაკარონზე ნაკლები დანიშნულება აქვს. ქართული ნიგნის ისტორიის საუკეთესო მცოდნე ადამიანს იმედს მხოლოდ ახლად გახსნილი სამიოდე მალაზია თუ აძლევს, მაგრამ ფიქრობს, რომ სანამ ნიგნის ბიზნესი მომგებიანი არ გახდება, ნიგნის ფასსაც ნაკლებად ვაიგებს საზოგადოება. იდეალური ნიგნის მალაზია ლევანს ასე ესახება: დიდი ორსართულიანი შენობა, თემატურად განლაგებული ნიგნებით, პატარა კაფეით, მოლიმარი სახის გამყიდველებით და აუცილებლად უფასო ვიზუალური ნიგნის შესახებ, რომელიც ერთგვარი კატალოგი იქნება.

"არის ერთი მალაზია, "ბიბლიური საზოგადოების", სადაც იყიდება ბიბლიური ლიტერატურა. ბასილ მკალავიშვილმა დაარბია და დახია ბიბლიური ენციკლოპედიის უიმერსიტეტი. ეს ვანდალიზმია. ნიგნიერი ადამიანი თავს ამის უფლებას არასოდეს მისცემს," - ამბობს ლევანი.

ნიგნიერი ადამიანი, მით უმეტეს უნივერსიტეტის ლექტორი, თავს არც იმის უფლებას არ უნდა აძლევდეს, რომ სტუდენტს უფარვისი ნიგნი მიჰყიდოს. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები იშვიათი არაა. მაგალითად, ტექნიკურ უნივერსიტეტში, ლექტორმა, რომელიც მასალათა გამძლეობას ასწავლიდა, ჩათვლის მისაღებად სტუდენტები აიძულა, მისი ნიგნი შეეძინათ. პატივცემული პედაგოგის ნაშრომი კი ქართულ ჭიდაობას შეეხებოდა (ეს ლექტორი წარსულში მოჭიდავე ყოფილა). სტუდენტები ხშირად ვერ ამოტყუებენ ამგვარ ფაქტებს, გასაგები მიზეზების გამო.

რასაკვირველია, ნიგნი ყველას ერთნაირად არ უყვარს, მაგრამ მისი პატივისცემა, უბრალოდ, ერის კულტურის ერთი მარჯვენა ნაწილია...

თბილისში გამოდის "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February

გაბეზარით.
on subscription basis

e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax: 20 24 25

შვეულმფრენის ბარაზი

ქართული ავიაციის წარმოდგენელია და შამილიც

მაია ქალაპანიძე

შამილ ქორთოშიძის მავარი მფრინავობის ამბავი დიდხანს მხოლოდ ახლობელთა ვიწრო წრეს ეცოდინებოდა, რომ არა პრეზიდენტ სააკაშვილის ჭიქა ჩაიზე მიბატონებდა. ეს მოხდა სვანეთში განხორციელებული მასშტაბური, ანტიკრიმინალური ოპერაციის დროს, როცა შამილმა დაზიანებული შვეულმფრენი დასვა და სხვა შვეულმფრენით განაგრძო ფრენა.

დღეს ის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასული საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საავიაციო რაზმის მფრინავია. მანამდე კი დიკლოში დაბადებული ბიჭი ფრენის სურვილმა უკრაინის საფრენოსნო სასწავლებელში გადააფრინა.

სანამ ომალოში სამანქანო გზას გაიყვანდნენ, იქ მოხვედრის ერთადერთი საშუალება შვეულმფრენი იყო. თუ არადა, ცხენებით ორი დღე-ღამე სჭირებოდა. ერთხელ, თელავის აეროპორტში ისეთი რიგი იდგა, რომ ვიდრე სახლში ავიდოდნენ, მესამეკლასელ შამილსა და მის უფროს ძმას, ზაურს მთელი თვე მოუხდათ ლოდინი. სწორედ მაშინ გადაწყვიტეს, რომ მფრინავები გახდებოდნენ...

თუმცა, ომალოში, ერთ ხეზე თვითმფრინავი უკვე არსებობდა. ერთი ტოტი საჭე იყო, მეორე - მეთაურის და მეორე მფრინავის ადგილი.



შამილ ქორთოშიძე "24 საათის" რედაქციაში

სამოქალაქო ავიაციის საკმარისი შვეულმფრენები უნდა ჰქონდეს და ხალხს მოემსახუროს. მესაზღვრეებს თავისი პრობლემები აქვთ და, ჩემი აზრით, სამოქალაქო ფუნქციებს არც უნდა ასრულებდნენ.

აფხაზეთში იყო შემთხვევა, როცა ბავშვი მოუწოდებიათ და არ ვიცოდით, ვისთვის უნდა ჩაგვებარებინა, ვინ იყო პატრონი.

ხევსურეთში პირველად ჭიმი მაისურაძემ ჩამიყვანა და მითხრა - ეს ჩვენი ხალხია და ამათ მიხედვა უნდაო. ხევსურეთი შემოდგომიდან გაზაფხულამდე იკეტება. იქით რომ გადაგვიფრენია, ჩავსულვართ, ამბავი შეგვიტყვია...

ჭიმი განსაცდელებს მიქმნიდა ხოლმე - ეთხელ ცოტა სანვაგი გვქონდა და ეკონომიის მიზნით ერთი ძრავი გამოერთო... ასე მწვრთნიდა.



შამილის შვეულმფრენი კლდიდან ერთ ნაბიჯზეა.

ართ. ადამიანებს საკუთარი თავი აღარ ახსოვდათ, მხოლოდ ბავშვებისა და ქალების ევაკუაციაზე ფიქრობდნენ.

გადატვირთული შვეულმფრენი ფრენა დიდი რისკი იყო...

- ბევრჯერ ჩვენც მოგვიხდა ბლისტერიდან (შვეულმფრენის ფანჯარა) გადასვლა. ღმერთის წყალობით, გადატვირთვის გამო შვეულმფრენის ჩამოვარდნის შემთხვევა არ ყოფილა. ყოველი ფრენა იდგა რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ რუსული ტექნიკა თადარიგისა და არის გაკეთებული. ერთ რეისზე 95 მგზავრი გადაგვიყვანია. დაშვებული რაოდენობა კი 28 მგზავრია.

თქვენი გამოცდილების მქონე პილოტი სამიშრობას, ალბათ, წინასწარ გრძნობს. როდის არის საშიში ფრენა?

- მფრინავი თუ შიშა აიტანა, ფრენას უნდა შეეშვას.

ნისლის დროს თვითმფრინავის მგზავრი ყოფილხართ?

- კი და მაშინვე პილოტი ვხდებო.

თქვენ კინომსახიობობას და სოსო ჩხაიძესთან ურთიერთობას

თუ გაიხსენებთ?

- "თუმი მეცხვარის" გადამღები ჯგუფი ჩვენთან ცხოვრობდა. ჩემი ძმა და სოსო ჩხაიძე მმადანაფიცები იყვნენ და საავიაციო სასწავლებელში ჩაბარებისკენ სოსომაც უბიძგა და შეაგულიანა.

რომელ კადრში ხართ, დავაკვირდები, იქნებ გიცნოთ?

- მე და ჩემი დეაკარგული ძმა, ომარი ერთ კადრში თოვლზე მოესრულეთ. ერთგან კი თვითმფრინავს ვუშვებთ.

ის თვითმფრინავი თქვენი შემოქმედება ხომ არ იყო?

- არა, თბილისიდან ამოიტანეს. სხვათა შორის, "მიმინოშიც" მე და ჩემი ძმა ვართ გადაღებული. შვეულმფრენის რომ ჯაჭვით აბამენ, ბავშვებთან ერთად გამოვრბივართ. მაშინ ომალოში ვსწავლობდი და სკოლიდან ნამოგვიყვანეს.

ახლა გვიამბეთ, როგორ მოგტყდა ერთ სამსახურში და...

- მაშინ ბავშვი ვიყავი... ჩემი უფროსი და-ძმა ალვანში სწავლობდნენ. ჩემი ძმის მეგობარი იყო გავიგეთ. ჩემი სიძე, გერა თორთლაძე მაშინ "თუმი მეცხვარის" გადასვლაზე ვეხმობო. ძალიან გაბრაზებული იყო მაშინვე... დღეს ჩემი უფროსი დისშვილი, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, ასე, 22 წლის იქნება და ჩვენთან მუშაობს.

თქვენს ოჯახში არამფრინავი



სამაშველო სამუშაოებზე.

ვი არის ვინმე?

- ჩემი ორივე ძმა მფრინავია. სოხუმის მიმართულებით 7 ივნისს ხალხი დაიკარგა პირველი შვეულმფრენი, 7 ივლისს კიდევ ორი შვეულმფრენი დაკარგეთ. პირველად დაკარგული შვეულმფრენის მეორე პილოტი ჩემი ძმა იყო. დღემდე არ ვიცი, სად არის...

თქვენს ოჯახში დისშვილიც მფრინავი იქნება. თავად ორი შვილი მყავს - 10 წლის საბა და 7 წლის სალონი.

ბიჭს, რა თქმა უნდა, ფრენა სურს.

- ბიჭსაც და გოგოსაც.

ალბათ, მხოლოდ სათამაშო თვითმფრინავებით ასაჩუქრებთ.

- კი. სხვათა შორის, საბა შვეულმფრენის პაერში იდეალურად ფლობს.

უკვე "მონაპოვში" ყოფილხართ... აბა, თუ გამოვცნობ, რაზე საუბრობთ, როცა ყველა ერთად იკრიბებით?

- სალაპარაკო არაფერი გვაქვს. მე და ჩემი ძმა სამსახურზე ვსაუბრობთ. ჩემი ძმისშვილიც საფრენოსნო სასწავლებელში აპირებს და იმის მომავალზეც ვსაუბრობთ.

პირველი დამოუკიდებელი ფრენა როგორ გახსოვთ?

- სულ პირველად, ვიდრე სასწავლებელში წავიდოდი, შვეულმფრენის საჭესთან საწყალმა ჯიშმა დამსვს. დავეჯექი თუ არა, მაშინვე მოვიდა იდეა, შვეულმფრენის მფრინავი გავმხდარიყავი, ჯიშმა მიჩრია.

რატიმ მაინცდამაინც შვეულმფრენი?

- ჯერ ერთი, მთავი დავიბადე, თვითმფრინავით კი მთავი ვერ ახალ. გარდა ამისა, გაჭირვებული ხალხის, უბრალო მოსახლეობის დასახმარებელი საშუალებაა. ავადმყოფების ევაკუაცია, საკვების ჩატანა... ხევსურეთში პირველად სწავალმა ჯიშმა ჩამიყვანა და მითხრა - ეს ჩვენი ხალხია და ამათ მიხედვა უნდაო. ხევსურეთი შემოდგომიდან გაზაფხულამდე იკეტება. იქით რომ გადაგვიფრენია, ჩავსულვართ, ამბავი შეგვიტყვია - როგორ არის ხალხი, რა უჭირთ... მეც არ ვალაგებო ამ ტრადიციას.

თქვენი ალპინისტებთან ურთიერთობა ცალკე სასაუბრო თემაა. შვეულმფრენით რთულია მათთან ახლოს მისვლა?

- ...არა.

როდის ჭირს ცაში ყველაზე მეტად?

- უამინდობა და ქარი გვიშლის ხელს. თუ თავად არ დაუშვი შეცდომა და ტექნიკამ არ გილაგატა, სხვა არაფერია ხელისშემშლელი.

ალპინისტებს დაუბრუნდეთ. გასული წელს დამტვირთული ალპინისტის კლდიდან ჩამოხსნის კადრები მთელმა საქართველომ ნახა...

- ეს ისე არ გამჭირვებია. სამი წლის უკან მთამსვლელები დაიღუპნენ და მათი მოხსნა უფრო რთული იყო. მიუდგომელი ადგილი იყო, ქარის გამო შვეულმფრენიც თავს ვერ იკავებდა. იქ მაშინაც ბიძინა გუჯაბიძე იყო. გაამზადეს ყველაფერი და, ფაქტობრივად, მოძრაობისას

ჩააბეს ორი ცხედარი. ავიაციაში ისეთი სირთულეები ნამდვილად არ არის, რაც ალპინისტებს აქვთ.

ისე, მსგავსი პროფესიები კი გაქვთ, ორივე ზემოთ, ცისკენ მიიღვით. ალპინისტი არასდროს ყოფილხართ?

- ერთი შემთხვევა მქონდა, ფეხქვეშ კლდე გამომეცალა. რალვანთან ახლოს დავეკიდე, აზრზე რომ მოვედი, უკვე მალა ვიყავი. დღესაც არ ვიცი, იქ როგორ მოვხვედი.

ქართული ავიაციის გასაჭირზე თქვენზე კარგად არაინ ილაპარაკებს. ფული გაკლიათ. კიდევ?

- ჩვენ უკრაინაში, იმ ქარხანაში ვიყავით, სადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შვეულმფრენებს არემონტებენ. თანხა ორი წელია, სადაც დაიკარგა. ახალმა ხელისუფლებამ, პირველი რიგში, ამ შვეულმფრენებს მიხედა, რადგან მათ გარეშე საქართველოს ავიაცია წარმოდგენილია. უკრაინაში ჩვენი სამი საბრძოლო შვეულმფრენია და ორიც ზღვაზე რომ ჯდებოდა, იმ ტიპისაა. კიდევ ორი პატარა შვეულმფრენი ჰყავთ...

თქვენ ხომ არ უნდა ჩამოიყვანოთ?

- რამდენადაც ვიცი, ქარხანას ჩამოჰყავს. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ მფრინავებს კვალიფიციაციის ამაღლება სჭირდებათ და ჩვენი მფრინავებიც ამისთვის უმზადებიან. უფრო მეტი დაფინანსება და მეტი ყურადღებაა საჭირო. თეორიას კი სწავლობენ, მაგრამ სასწავლო ფრენები აუცილებელია.

კოდორის ხეობაში ბოულეტენები ვერ ჩაიტანეს, არჩვენებიც ვერ ჩატარდა. ხალხი, როგორც თქვენს ბავშვობაში, ახლაც რამდენიმე კვირას იცდის, სახლში რომ მოხვდეს. ეს მხოლოდ უამინდობის ბრალია?

- მხოლოდ ამის ბრალი არ არის. სამოქალაქო ავიაციის საკმარისი შვეულმფრენები უნდა ჰქონდეს და ხალხს მოემსახუროს. მესაზღვრეებს თავისი პრობლემები აქვთ და ჩემი აზრით, სამოქალაქო ფუნქციებს არც უნდა ასრულებდნენ. ყველა ავიაციას საკუთარი მიმართულება და დანიშნულება უნდა ჰქონდეს - საბრძოლო თავისი დანიშნულება უნდა შესარულოს და სამოქალაქო ავიაციას არც ერთი შვეულმფრენი არ ჰყავს, არც ერთი. არსებობს ერთადერთი, რომელიც კერძო ავიაკომპანია "თუშეთმა" შეისყიდა და რომელიც ეუთო-ს მისიას ემსახურება. როდესაც სხვა რეისებია შესასრულებელი, შვეულმფრენს ან თავდაცვის სამინისტროს სთხოვენ, ან მესაზღვრეებს.

სახლში, ომალოში ყოველთის მიფრინავთ ხოლმე?

- ზაფხულის პერიოდში - არა. წელიწადში ერთხელ მაინც მანქანით ავიდვართ, თავისებური სილამაზეა.

ზემოდან უფრო ლამაზია თუშეთი?

- სილამაზის აღქმა თუ გინდა, მანქანით უნდა ნახვიდე.

ზღვა როგორია ზემოდან?

- ხმელეთი ყველაზე ლამაზია.

მთუშეთში, ალბათ, პრეზიდენტმა სადილად რომ დაგაპატიათ, უკვე ისაღილე ერთად?

- არა. თუშეთი, თვითონ არ მომიწონია, მითხრეს.

პრეზიდენტი ხშირად დაფრინავს, რას ურჩევთ, როგორ მოიქცეს ცაში?

- როგორც მგზავრი.

სხვათა შორის, დაფრინავს და საჭიროცაა, რომ პერიოდულად ყველა კუთხე მონახულოს და ხალხის პრობლემები გაიგოს.

თქვენ რას შემოგრივებენ ხოლმე, ომალოში რომ ჩადიხართ?

- ადგილობრივი მოსახლეობა დაუცველია. რომ არ იყვნენ მესაზღვრეები და სასაზღვრო ავიაცია, სულ მთლად მივიწყებულადა იგერნობენ თავს. ეუთო-ს მისია ადგილობრივ მოსახლეობას ეხმარება გადაადგილებაში - გაჭირვებულს ყველას ეხმარებიან, ავადმყოფის ჩამოყვანას არ ამაღლიან.

ზევრი ტრაგედია გაქვთ გადატანილი. ჰაერში მაგნიტომ ხომ არ მიგინვეთ გული, კობალეშვიც განსვენდა დაიხვეწეთ? ბიძინა გუჯაბიძემ - მთავი ვისვენებო...

- მთავი ალპინისტი, მართლაც, თავის სტიქიაში არიან. სულ სხვაანარები ხდებიან...

ცაში, ალბათ, თქვენც ასე გამოიყურებით.

- არ ვიცი. სხვათა შორის, ცაში ვისვენებ.

“მე თავი მძულს და სიკვდილი მინდა”

ათი წლის წინათ გარდაიცვალა კურტ კობეინი

1994 წლის 5 აპრილს, გამთენიისას მოუსვენარი ძილიდან გამოვიხიზლეთულმა კურტ კობეინმა უკვე ზუსტად იცოდა, რომ მოკვდება. მან ეს ზუსტად იცოდა, რადგან დიდხანს ელოდა ამ ფაქტს. მას ყველაფერი ნლუების განმავლობაში ჰქონდა დაგეგმილი.

საძინებელ ოთახში ბნელა, მხოლოდ ტელევიზორის ეკრანი ციმციმებს. MTV-ს გადაცემა, ოღონდ ხმა არ ისმის. კურტ კობეინი დგება. დახეული “ლუვისის” ჯინსი აცვია. ის გულმოდგინედ იკრავს თასმებს თავის ერთადერთ წვეილ ფეხსაცმელზე. უნდა აჩქარდეს, მალე ირიფრაჟებს.

ყველაფერი მზადაა. კედლის კარადის სამაჯიდან ის იღებს სიგარეტის კოლოფს, რომელშიც ჰეროინი აქვს მომარაგებული, და თოფს - “რემინგტონს”. ეს უკანასკნელი მან რამდენიმე კვირის წინათ მონადირის მაღაზიაში იყიდა “თავდაცვისთვის” - ასე აუხსნა გამყიდველს.

კურტ კობეინი სიეტლში ორიოდე კვირის წინათ ერთ მილიონ დოლარად ნაყიდი სახლის უკანა კარს აღებს და ბაღში გადის. ის ხის კობით ძვრება სანერგის ზედა სართულზე და ლინოლეუმის იატაკზე ვედება. ლინოლეუმი კარგია, ბევრი სისხლი დაიღვრება. მან სახლიდან თან ორი პირსახოცი გაიყოლა.

ამჯერად შეცდომის დაშვების უფლება არ აქვს. ადრე კომიდან რამდენჯერმე დააბრუნეს ამ ცხოველებში, რომელმაც ასე დააღალა.

კურტ კობეინმა გამოსამშვიდობებელი წერილის წერა დაიწყო. სიტყვების ძებნა არ უნებს - ამაზე მაშინაც ფიქრობდა, როცა თინჯერვი იყო: “...მრავალი წელია, მუსიკა აღარ მძლეულებს... მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ... უსამინლესი დანაშაული ის იქნებოდა, ხალხი რომ მომეტყუებინა... მახსოვს, რომ ნელა ჭჭნობას დანჯავაზობ... მიყვარხარ, კურტ კობეინი”.

ერთხანს ასე ზის, ხუთ ღერ სიგარეტს ეწევა - მსუბუქ “ქემელს”. ხევის გახდავს. რა კარგია, აქ ვერაფერი მოაგონებს; აქ შეუძლია, მშვიდად იყოს. ის თოფს იბეჭდს და ისვრის.

კურტ კობეინის ცხედარი სამი დღის შემდეგ იპოვეს - ზუსტად ათი წლის წინათ, 8 აპრილს. რამდენიმე საათის შემდეგ ეს ამბავი მთელმა მსოფლიომ იცოდა.



თავანისმცემლები კურტ კობეინს ისვენებენ

საფლავი, რომელზეც “წირვანას” თავანისმცემლები თავიანთი კერპის კურტ კობეინის გარდაცვალებიდან ათი წლისთავის აღსანიშნავად მივიდოდნენ, არ არსებობს. ვაშინგტონის შტატის მოხელეების გადაწყვეტილებით, ლეგენდარული მომღერლის ოფიციალური საფლავი უცნობია - ისტერიული ფანებისა შევშინდათ; არ უნდოდათ, სიეტლშიც იგივე მომხდარიყო, რაც პარიზში დატარებულმა 27 წლის ასაკშივე გარდაცვალებული ჯიმ მორისონის საფლავზე. კობეინის ქვრივს კორტნი ლავს მუდულის ფერფლი მრავალ ადგილას მოუბნევიან. ის ოთახიც, სადაც მუსიკოსმა თავი მოიკლა, დიდი ხნის წინათ დაანგრევია.

ათი წლის წინათ კობეინის გარდაცვალების ამბავმა ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოიყვანა. “წირვანას” ფანების ნაწილს უნდოდა, კვლავ სიეტლში, მოედანზე მიეგო რიკ-გმირის სხოვნისთვის პატივი. ევროპისა და შეერთებული შტატების ტელე და რადიოარხები კობეინის პომინებად ქცეულ სიმღერებს უწყვეტლად ატრიალებენ. ჟურნალმა “როლინგ სთონუზმა” რიკ-ენროლის 50-ე

